წელიწადი მე-2 | ტელეფონი № 76. | შაბათი, 10 დეკემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., ... სხვა ადგილებიდან ... ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათ. შემდეგ 5 მან.

**რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში**

№ 504 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 504

# მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

## ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

# „სამშობლო“-ზე

**წლიწადი მესამე**

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
ერთის თვით 1 50 კაპ.

თვიური ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან.
წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისათანავე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კონტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

რედაქტორი—ი. თ ცინცაძე.
გამომცემელი **ამხანაგობა „სამშობლო“.**

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი მიქელაძისა.
**დეპეშისათვის:** ქუთაისი „სამშობლო“.

---

გაუბედურებული ქვრივი მატრონა კირილეს ასული, შვილები: ნინო, ლიდა, არჩილი და დავითი, სიდედრი დარია გიორგის ასული ჯიბლაძისა დები: თებროლე და მენიკი ლეჟავებისა, ნატალია რუხაძისა და სიძე ლევან გლახუას ძე რუხაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ქუთაისის მთავრობის ქალთა გიმნაზიის სალვთო სჯულის მასწავლებლის დეკანოზ

### მელიტონ მიხეილის ძის ცაგარეიშვილის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას—4 დეკემბერს. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე საკუთარ სახლში, ჭავჭავაძის ქუჩაზე. გამოსვენება კვირას, 11 დეკემბერს, დილის 9 საათზე კათედრალურ საკრებულო ტაძარში. დაიკრძალება ქუთაისის მთავარ-ანგელოზის საკრებულო ტაძრის გალავანში.

---

მღვდელი ონისიმე სანიკიძე და მეუღლე სილკლიტა იგივე (გოგოცა) შვილებით გაიანე ბრეგაძისა, შალვა, ნადეჟდა, აკაკი, რაისა, კირილე, გრიგოლი და ევგრაფი სანიკიძენი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, პირველნი საყვარელი ქვისლის, მეორე ძვირფასი სიძის და დანარჩენნი ბიძის

### დეკანოზის მელიტონ მიხეილის ძის ცაგარეიშვილის

ტრაღიკულ გარდაცვალებას 4 დეკემბერს. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 სათზე საკუთარ სახლში ჭავჭავაძის ქუჩაზე. გამოსვენება კვირას, 11 დეკემბერს, დილის 9 საათზე კათედრალურ საკრებულო ტაძარში. დაიკრძალება ქუთაისის მთავარანგელოზის საკრებულო ტაძრის გალავანში.

---

ქუთაისის ქალთა გიმნაზიის არსებული მშობელთა წრის საბჭო აუწყებს საზოგადოებას ამავე გიმნაზიის მოძღვრისა და ქართული ენის მასწავლებლის

### დეკანოზ მელიტონ ცაგარეიშვილის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია 10 დეკემბერს საღამოს $6^1/_2$ საათზე კლასიკურ გიმნაზიის ეკლესიაში.

---

**ქუთაისის ქალთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო აუწერელი მწუხარებით აუწყებს: მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობთ დეკანოზი მამა**

### მელიტონ მიხეილის ძის ცაგარეიშვილის

**ტრაღიკულათ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს $4^1/_2$ საათზე. ცხედარს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან (გოსპიტლის და ჭავჭავაძის ქუჩის კუთხე) კვირას 11 დეკემბერს დილის 9 საათზე.**

---

გულდათუთქული მშობლები: იოსებ კონსტანტინეს ძე, მეუღლე ოლღა ვახტანგის ასული, ბებიები: მატა ლევანის ასული, ივლიტე მოსეს ასული, ბიძები: ივანე, მიხეილ და სიმონ კონსტანტინეს ძენი, ძმა პეტრე იოსების ძე და ბიცოლეები: ნადეჟდა სპირიდონის ასული და ნინა სამსონის ასული მდივნები, აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ პირველნი საყვარელი ძმისა, მეორენი შვილიშვილისა, მესამენი საყვარელი ძმისწულისა, მეოთხე ძმისა და უკანასკნელნი მაზლისწულის მეხუთე კლასის ვორონეჟის კადეტთა კორპუსის მოწაფის

### კონსტანტინე (კოწია) მდივნის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. გამოასვენებენ დღით კვირას 11 დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე, მესხეთის ქუჩა საკუთარი სახლი. დაკრძალვა მოხდება სოფელ ბაკისუბანში წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში საყარეულო სასაფლაოზე.

---

კვირას, 11 დეკემბერს დილის 10 ნახ. საათზე არქიელის გორაზე, გოჭოურის სასაფლაოზე დანიშნულია ორმოცი დღის პანაშვიდი

### მარიამ სიმონის ასულის ვასილიევის

სულის მოსახსენებლათ, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის ჭირისუფალნი.

---

### „სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვების შვილები“.

**ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის „კომიტეტის“ საშუალებით** შეიძინა საუკეთესო ხარისხის (ინგლისის) დიდძალი პარტია

## შაბიამანი და გოგირდი.

შაბიამანის შეძენა შეუძლიათ: სასოფლო ბანკებს, კოოპერატივებს და კერძო მევენახეებს **ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის „კომიტეტის“ მიერ მიცემული მოწმობით,** რომელიც საქონლის შეძენისას წარმოდგენილი უნდა იქნეს **სავაჭრო სახლში.** 6—2

---

### ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 8 დეკემბრიდან ახალი პროგრამა

**მეკობრის დალუპვა**

სამხედრო სანახაობა

## ბედის ტრიალი

მოსკოვის ცხოვრებიდან, 4 ნაწ. რებიკოვასი და გრამოვის მონაწილეობით.

**ორ ქმარს შუა** სახუმარო 2 ნაწ. ალსტრიუპის მონაწ.

---

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლვოვშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **მოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**ექიმი ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული)

---

**ექიმი მულინი,** ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

---

**დოქტორი მედიცინისა**

### დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. 10—4 დღ. გამ.

---

**ოდესის საბებიო კურსებ დამთავრებული**

**ბებია ს. ს. ნემსაძისა** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, გეგეჯკორის სახლები, ფოსტის მახლობლათ.

---

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპჩენკოს მაღაზიის პირდაპირ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 8 დეკემბრიდან ახალი პროგრამა

მეკობრის დაღუპვა სამხედრო სანახაობა

2 სერია:

აფთრები (ვამპირები)

კინო რომანი 3 ნაწ.

სიყვარულმა გადარია

სახუმარო



ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 28.

ბენეფისი ნინო ჩხეიძისა.

კვირა, 11 დეკემბერი 1916 წ.

ალ. დიუმა.

მარგარიტა გოტიე

დრ. 5 მოქმ. თარგმანი ვ. გუნიასი და ალ. იმედაშვილისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., ლოლუა ა., მდივანი მ., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ.
ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი ადგილების ფასი საბენეფისოთ.

მორიგე წევრი გამგეობისა: ე. მეღისაშვილი და გრ. ლადიძე

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

წარმოდგენის დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება.



ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ქუთ. განყოფილების

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ თერთმეტ (11) დეკემბერს დილის თერთმეტ საათზე შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია განყოფილების წევრთა საგანგებო

საერთო კრება

განყოფილების სტამბის გაყიდვის საკითხის განსახილველათ. გადამწყვეტი ხმა ექნება იმათ, ვინც 1915 წლის წევრთა სიაში არის მოხსენებული; ან ვინც 1916 წ. საწევრო ფულის კვიტანციას წარმოადგენს.


# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** ბროდის სამხრეთ დასავლეთით წინასწარ საარტილერიო მზადების შემდეგ გერმანელებმა მედგრად შეუტიეს რუსებს, მაგრამ იერიშები მოგერებულ იქნენ. მდ. ბისტრიცაზე რუსის მცირე რაზმები ავსტრიელებს თავს დაესხნენ.

**დასავლეთის ასპარეზი** მაასის მარჯვენა ნაპირზე ფრანგები შეტევას განაგრძობენ; მათ უკვე სოფ. ბეზანვო აიღეს და ტყვეები წამოიყვანეს.

**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

**იტალიის ასპარეზი.** მცირე ბრძოლები ხდება.

**რუმინიის ასპარეზი.** გერმანელებმა ბუზეოს მიმართულებით კვლავ წინ წაიწიეს. დობრუჯაში ბულგარელები რუს-რუმინელთა ჯარს უკან ახევინებენ.

**მაკედონიის ასპარეზი.** ბულგარელები ქ. მონასტირს დაახლოვებიან და ყუმბარებს უშენენ.

# მსოფლიო ომი.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლეს მთავარსარდ. შტაბისაგან.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. კოველის მიმართულებით, დიდსა და პატარა პორსკის მიდამოებში, მოპირდაპირემ ნაშუადღევის 3 საათზე, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, იერიში მოიტანა, მაგრამ მოვიგერიეთ. ხუთის ნახევარზე მოპირდაპირემ გაწაახლა შემოტევა უფრო ძლიერის ჯარით, მაგრამ მაინც მოვიგერიეთ. ბინდისას ბრძოლა დასცხრა. მოპირდაპირის ჯარი 4 ბატალიონი მაინც იქნებოდა. შუაღამის 1 საათზე მოპირდაპირემ კვლავ შემოგვიტია პატარა პორსკის მიდამოებში და ერთ-ერთ ჩვენი როტის თხრილები აიღო. 4 ქრისტეშობისთვეს, ღამით, სოფ. კაზაროვცედან ორჯელ გამოექანა მოპირდაპირის ჯავშნიანი ავტომობილი და ჩვენს სანგრებს სროლა აუტეხა. მდ. ბისტრიცაზე, იეზუპოლის მიდამოებში, მეორე ნაპირას გადასვლა კვლავ სცადა მოპირდაპირის მზვერავთა რაზმმა, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. ძველ ლისეცის მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა სიმარჯვე გამოიჩინეს და ტყვეებიც წამოიყვანეს. ბავერნის სამხრეთ-დასავლეთ მიდამოებში ჩვენს მზვერავებს შეეგება მოპირდაპირის 2 ბატალიონი; ჩვენც ჯარი მივაშველეთ და მოპირდაპირემ კვლავ შემოგვიტია ძლიერის ჯარით. იერიში ხიშტებით მოვიგერიეთ და 50 დავატყვევეთ. ჩვენი მედგარი რაზმი მტრის სანგრებში შეიჭრა მაღლობზე და ეს მაღლობი დაიპყრო.

### კავკასიის ასპარეზი.

ყარაქის მთის მიდამოებში, ყიალყითის დასავლეთით 15 ვერსზე, ჩვენი როტა ზურგიდან მოექცა ოსმალების სადარაჯოს, სადაც 50 მეომარი იყო და იერიში მიიტანა. ნაწილი დახოცეს, ნაწილი გაჰფანტეს. ქამდანის მიმართულებით ჩვენი ცხენოსანი მზვერავები ყაზვინ-ქამადანის შარა გზაზე ყუმეხან-მარანის მაღლობებიდან სროლით შეაჩერეს მეორე რაზმმა ულია აჯახასაბის მიდამოებში, წინ წაიწია ფოლპან კას ველამდე, სადაც მოპირდაპირის ძლიერმა ჯარმა შეაჩერა.

რუმინიის ასპარეზი. 3 ქრისტეშობისთვეს, მოპირდაპირე რუმინელთა ჯარის დევნაში ბუზეო-რიმნიკო-სერეტის გზატკეცილის, რკინის გზის და ბატოგუს მიდამოებში, ფილიპეშტის სამხრეთით, იერიშის მოტანას სცდილობდა.

დობრუჯაში მოპირდაპირემ ძლიერის ჯარით იერიში მიიტანა ტესტემელის მიდამოებში მყოფ ჩვენს ჯარზე და ეს სოფელი აიღო.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ბროდის სამხრეთ-დასავლეთით მოპირდაპირე ნახევარ საათის განმავლობაში მძიმე ზარბაზნებს უშენდა სოფ. პონიკოვიცესთან მდებარე თერილებს, მერე დარაზმულად წამოვიდა ჩვენის თხრილებისაკენ, მაგრამ სროლით უკანვე მივაბრუნეთ თავის თხრილებში. განმეორებითი იერიშიც უშედეგოთ დარჩა. მდ. ბისტრიცაზე, იეზუპოლის, სელეცის და ბოროდჩანისტარეს მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა იერიში მიიტანეს მტრის სადარაჯოზე და ამ უკანასკნელ სოფელში შეჭრა მოახერხეს. მოპირდაპირეს რამდენიმე კაცი მოუკლეს. მტერი უწესრიგოთ გაიქცა, ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ტყვე. ტყიან კარპატებში ბოტოშუს მთის სამხრეთ. და დასავლეთ მიდამოებში ჩვენი ძლიერი მზვერავთა რაზმი მარჯვეთ მოქმედებდა.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხთარა.

### რუმინეთის ასპარეზზე.

თოფებისა და ზარბაზნების სროლაა რიმნიკ-ბუზეოს მიმართულებით ჩვენი მზვერავები მარჯვედ მოქმედებენ. დუნაის მარცხენა ნაპირას, სოფ. პარლიტის მიდამოებში, მოპირდაპირის იერიშები მოვიგერიეთ. დობრუჯში მარჯვენა ფრთაზე მოწინავე რაზმების ბრძოლაა, განსაკუთრებით ჩვენს მარჯვენა ფრთაზე, სოფ. ჩერნის მიდამოებში და აგრეთვე ბრძოლის ხაზის შუაგულში სოფ. ატმაჯეას მიდამოებში.

**შავი ზღვა.** 3 გიორგობისთვეს, მოპირდაპირის ჰიდროჰაეროპლანმა სულინს ყუმბარები დაუშინა. ჰიდრო ჰაეროპლანის მოდარაჯე გამანადგურებელი მფრინავმა რაგოზინმა ძირს ჩამოაგდო, ვაგრამ მისი ხელში ჩაგდება ვერ მოვახერხეთ.

**ლონდონი.** საღამოს ოფ. ცნობა. მახლობელ აღმოსავლეთის ასპარეზი. ინგლისის საზღვაო ჰაეროპლანებმა 18 ნოემბერს ბევრი ყუმბარები დაჰყარეს ლულებურგასის ხიდს, ადრიანოპოლის სამხრეთით და დიდი ზიანიც მიაყენეს.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. მაასის მარჯვენა ნაპირას ჩვენი ჯარი მარჯვედ მიიწევდა კარერის ტყისაკენ და სოფ. ბეზანვო აიღო. მეტად ცხერე იერიშით წამოვიდნენ გერმანელები საღამოთი პუავრის მაღლობთან, მაგრამ ზარბაზნებით უკუვაგდეთ. ჩვენ ახალი ხაზი მთლიანათ შევინარჩუნეთ. ტყვეები კვლავ მოგვყავს. ეხლა ჯარი რიცხვით 9 ათასს აღემატება. მათ შორის 250 აფიცერია. აქ დღევანდლამდე ხელთ ვიგდეთ და დავაზიანეთ 81 სარბაზანი.

**სოლუნი.** სერბიელთა მთავარ ბანაკის ოფიც. ცნობა. რამდენიმე დღეა რაც ბულგარელები ქალ. მონასტრს ზარბაზნებს უშენენ, ანგრევენ კერძო სახლებს და მშვიდობიან მცხოვრებთ ჰჟლეტენ.

**ათინა.** მოკავშირეთა სახელმწიფოთა ქვეშევდომნი ისევ გემებზე არიან შეხიზნულნი. ლამბროსის სამინისტრო მოკავშირეების დესპანებთან მოლაპარაკებას განაგრძობს.

**ათინა.** ზალოკოსტასმა შუადღისას საბერძნეთის პასუხი მოკავშირეთა დესპანებს ჩააბარა გემზე საბერძნეთის მთავრობა მოკავშირეთა ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და თან აცნობებს, თესალონიასა და ეპირში მყოფ ჯარს უკვე გაეგზავნა [illegible] ნაწილად გადავიდნენ [illegible] ულტიმატუმის თანახმად.

**რიგა.** გერმანელთა ბანაკიდან ამ უკანასკნელ დღეებში დიდი ხმაურობა, ყიჟინა, სიმღერა და მუსიკის ხმა ისმის. ამბობენ, ალბად ვილჰელმს ბრძანებას უკითხავენ ჯარს ზავის შესახებო.

**სტოკჰოლმი.** ნორვეგიიდან ინგლისისაკენ მიმავალი, სურსათით დატვირთული გემი „პოლაპდურ“ ი გერმანეთის წყალქვეშამ დასწვა ოკსესთან. ზედმყოფნი გადაარჩინეს და ლანდსკრონაში მიიყვანეს.

ხე-ტყით დატვირთული დანიის გემი „სოლონ“-ი, გეტებორგიდან მიმავალი, გერმანელების წყალქვეშამ დაჰღუპა ჰონსტჰოლმის დასავლეთით 25 ვერსზე. ზედმყოფნი გადაარჩინეს.

**ტოკიო.** ოფიციალად გამოცხადდა, რომ აკრძალულია მოპირდაპირე სახელმწიფოებში წერილებისა' ფულისა და დეპეშების გზავნა. არც ამ სახელმწიფოებიდან გამოგზავნილს ფულსა, დეპეშას, თუ წერილებს მიიღებენ, მოპირდაპირე სახელმწიფოთა ქვეშევდომთა გამოგზავნილს. ასეთ ამანათებს კონტრაბანდად ჩასთვლიან. ეს განკარგულება არ ეხება დიპლომატიურ წარმომადგენლებს და სამხედრო ტყვეებს. განკარგულება 19 ქრისტეშობისთვიდან ძალაში შევა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ზავის გარშემო** გერმანიის უკიდურესი მემარჯვენე და უკიდურესი მემარცხენე პარტიები უკმაყოფილონი არიან გერმანიის საზავო პირობებით და, იმ დროს როდესაც მემარჯვენეები კანცლერს ანექსიის უარყოფას აბრალებენ, მემარცხენეები ნოტის სწორედ ინექსიონისტურ სულს უკიჟინებენ.

— ზავის ჩამოსაგდებად გერმანელები ითხოვენ, რომ აღმოსავლეთ ასპარეზზე მდგომარეობა წინანდელი დარჩეს, ხოლო გამოცხადდეს პოლონეთისა და ლიტვის დამოუკიდებლობა.

— ფრანგული გაზეთების აზრით გერმანელების საზავო პირობების მიღება მოკავშირეთა შორის განხეთქილებას გამოიწვევდა.

— ზავის ჩამოგდების საკითხი ცენტრალ სახელმწიფოთა კავშირში პირველად უნგრეთის პირველ მინისტრს ბარონ ბურიანს აღუძრავს.

— ერთი გერმანთლი გაზეთის კორესპონდენტი მოწინავე პოზიციებზე ყოფილა მაშინ, როდესაც ვილჰელმის ჯარისადმი მიმართვა გამოქვეყნდა ზავის შესახებ მისი გადმოცემით გერმანელ ჯარის კაცებს უთქვამთ: „ჩვენ კაიზერს საუკეთესო საჩუქარი აურჩევიათ საშობაო“ დაო, მაგრამ ეჭვი შეპარვიათ რომ ეხლანდელ

# ქებათა-ქება

მეფე—სოლომონისა.

(შემდეგი იხ. „სამშ.“ № 503.)

### თავი II

1 მე ვარ ნარგიზი ქალაქ ხარონის
ყვავი და ვაკმევ ძვირფას სურნელსა,
მე ვარ შროშანა კდემა მოსილი
და სიკეკლუცით ვამშვენებ ველსა.

2 ეკალთ შორის აყვავებულს
შროშნის ნახვას ყველა ჰკვირობს,
ჩემი სატრფოც ასულებში
შროშანივით სხვანაირობს.

3 ვაშლის ხესა ვერ დაჩრდილავს
ტყის ეკალი ათასგვარი
ვერ დაჩრდილოს სხვა ვაჟკაცმაც
ჩემი სულის მეგობარი!

4 შემიყვანე საზეიმოდ,
ვიქნეთ სხვისგან დაფარული
განაწესე... მომანიჭე
ნეტარება სიყვარული.

5 ღვინო მასთვით შამბისაგან
მომიმზადეთ სარეცელი,
რადგანც წყლულვარ სიყვარულით
და ისე ვთრთი, ვით ფურცელი.

6 მარცხენა მისი მე მაქვს სასთუმლად
ხოლო მარჯვენა მხვევია ყელსა;
და ვფიქრობ ერთ ფიქრს და ჩემი სუნთქვა
დაჰმონებია იმის სურნელსა.

7 ერუსალიმის ტურფა ასულნო,
გაფიცებთ ქურციკს, ველის ირემსა,
ვიდრე თვით სურდეს ნუ განუღვიძებ
გულში სიყვარულს მახლობელს ჩემსა.

8 ვხედავ მიჯნურს სასურველსა
მთიდან მთაზე მხტომ-მავალსა
ის სისწრაფით ქურციკსა ჰგავს
ანუ ირემს ცელქს და მალსა.

9 ჰა სარკმელშიც იხედება
და ხმა მესმის ჩუმი, ნელი,

10 აღსდექ, ჩემო მახლობელო,
მშვენიერო ჩემო, გელი!

11 ზამთარს ვადა გაუვიდა,
გადიდარა, დაცხრა წვიმა.

12 ყვავილები გაიშალა
ჰფრენს პეპელა ფრთა-ციმციმა,
სიმღერისა ჟამი დადგა
ცელქობს სიო, ზღაპრის მთხრობლად
და გაისმის ხმა გვრიტისა,
გაზაფხულის მახარობლად.

13 ლეღვს კვირტები დაუმწვანდა
აყვავილდა სავენახე,
და იკმევა სურნელება,
მახლობელო, გელი, მნახე!

14 ნუ მემალვი, ნუ მემალვი
გთხოვ მიჩვენო სახე—პირი
მტრედო ჩემო, ხმა გამეცი
გესმის, გულში ჩუმად ვსტირი,
სახე შენი ლამაზია,
ხმა კი ტკბილი, მიმზიდველი
აღსდეგ, ჩემო მახლობელო,
მშვენიერო, გიცდი, გელი!

15 მე მას ვეკუთვნი და ის ჩემია,
შროშანთა შორის ჰმწყსის სასურველი,
მომწყინდა მარტოდ, ვიგონებ სატრფოს
გული მელევა, ველი და ველი!

16 ვიდრე დაღამდეს და აჩრდილები
მოედვნენ, მთისა კალთებს და თხემსა
იჩქარე ჩემსკენ, ისწრაფე ჩემსკენ,
ემსგავსე ქურციკს, ან ჩჩვილ ირემსა.

### თავი III

1 ღამით ვეძებდი მე სარეცელში,
რომელიც მტკიცედ უყვარს ჩემს სულსა,
ვეძახდი, მაგრამ ხმა არ მასმინა,
ვერ ვპოვე სევდა ემატა წყლულსა.

2 გარედ გამოველ მის საძებნელად
დავედექ შარას, მოვვლე უბანი,
მაგრამ ვერ ვპოვე შეყვარებული,
და არც ძახილზე მასმინა ხმანი!

3 და შევხვდი მცველთა, რომელნიც ქალაქს
ირგვლივ უვლიან ღამეს ყოველსა,
და ვკითხე მე მათ: „არ შეხვედრიხართ
ჩემსა მეუფეს, ჩემს მახლობელსა?“

4 მათ განვეშორე და შემდგომ მისსა,
რა განვიარე მცირე მანძილი,
ვიხილე ჩემი სულის ცისკარი,
ვინაც შემიკრთო მე ღამით ძილი.
შევიპყარ და არ მოვეშვი
წავიყვანე სახლსა შინა
და იმ ღამით ჩვენსა იყო
ჩვენსა ჰქონდა ერდგულს ბინა.

5 ერუსალიმის ტურფა ასულნო,
გაფიცებთ ქურციკს, ველის ირემსა,
ვიდრე თვით სურდეს ნუ განუღვიძებთ
გულში სიყვარულს მახლობელს ჩემსა.

6 ეს ვინ არის, ვისა ვხედავთ
ამაყად და მტკიცედ მავალს,
სიმაღლით რომ კვამლს გვაგონებს
და სურნელით ყვავილს მრავალს?
ჩვენ გვაოცებს მისი ხილვა,
ფიქრს გვიღვიძებს მოზღვავებულს,
ირგვლივ აკმევს სურნელებას
ყოველგვარად შეზავებულს.

7 ეს ხომ მეფე სოლომონის
ცხედარია; მას რჩეული
სამოცი ძე ისრაელთა
მცველობს, ბრძოლას დაჩვეული.

8 ხელთ უჭირავთ მათ შუბები,
წელსა ჰმოსავს მჭრელი ხმალი,
ტანთ უმშვენებს ფარჩეული
და ზედ ბრწყინავს ზურმუხტ-ლალი.

9 საგანგებოდ განუმზადეს
მეფეს ესე სარეცელი,
უბრძანა და ლიბანიდან
მოიტანეს მყისვე ძელი.

10 სვეტნი შეჰქმნა ვერცხლისაგან,
და ოქროსგან კი კამარა,
ძოწეულის სავარძელი
იაგუნდით აელვარა.
იატაკიც ისე მორთო
სხვა და სხვა გვარ ძვირფას თვლებით,
როგორც ლელვი გაზაფხულზე
იმოსება ხშირ ფოთლებით.
და ასულთა გულმხურვალეთ
უყვართ იგი სარეცელი,
იქ მზიანობს სოლომონი
მეფე ბრძენი, მეფე ქველი.

11 ო! იხილეთ სოლომონი,
თქვენ ასულნო სიონისა,
ო, იხილეთ ბრწყინვალება
მისი მეფურ გვირგვინისა.
რითაც დედამ ქორწილის დღეს
შეამკო და დაამშვენა,
როცა გულში დაემკვიდრა
სიხარული, შვება, ლხენა.

### თავი IV

1 ო, რა რიგად მშვენიერობ,
ჩემო სულის მახლობელო,
ისე ჰყვავი, ვით შროშნებით
მოფენილი ტურფა მდელო.
ეგ თვალები მტრედისანნი
ახშირებენ ირგვლივ მცველებს,
და ისვრიან მზის სხივებსა,
გულის გამპობს და დამწველებს.
ვერვინ დასთვლის შენს ნაწნავებს,
შენს ქუჩუჩებს შავს, რიცხვმრავალს,
და შენი თმა თხის ფარეს ჰგავს
გალაათის მთით ჩამონავალს,

2 კბილნი ცხვრის ჯოგს გაკრეჭილსა,
საბანელსა შიგან მყოფსა,
სადაც ვერვინ ვერ იხილავს
ბერწს, სნეულს და ავადმყოფსა

3 ბაგე შენი მეწამული,
ბაგე შენი ძოწეული,
სიტყვა შენი მშვენიერი,
ვით პობილი ბროწეული,

პირობებში შესაძლებელი იყოს ზავის ჩამოგდება და დაუმატებიათ: „ვფიცავთ უზენაესს, თუ ეს საჭირო გახდება, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთო."

— გერმანეთის საზავო ნოტა ბალკანეთსაც ეხება და საჭიროდ სცნობს, რომ ბალკანეთის საკითხს გადაწყვეტა ჰააგის სამშვიდობო კონფერენციას გადაეცეს.

— რუსულ გაზეთებს ბერლინიდან ატყობინებენ, ვითომ გერმანელებს საიდუმლოდ უკვე გადაეცეთ ნეიტრალ სახელმწიფოთა მთავრობებისათვის თავისი საზავო პირობები; ამბობენ: ნეიტრალი სახელმწიფოები მაშინ გამოაცხადებენ ამ პირობებს, როდესაც მოკავშირეები პრინციპიალურად თანახმანი გახდებიან ზავისა. სხვათა შორის გერმანელები ნოტაში საჭიროდ სცნობენ ჰააგის კონფერენციის პრინციპები განვითარდეს და ცხოვრებაში გატარებულ იქნეს.

— გერმანული გაზეთები თითქმის ერთ ხმად ჰლაღადებენ, რო გერმანია მზად არის ზავი ჩამოაგდოს და, თუ მოკავშირეებმა პრინციპიალურად არ მიიღეს გერმანეთის წინადადება, მაშინ მომავალ სისხლის ღვრის ბრალი ერთიან მოკავშირეებს დაედებაო.

— **სამხედრო მოქმედება.** ლლოიდის ცნობით გერმანელთა წყალქვეშებს დაუღუპავთ ინგლისის შემდეგი გემები: „ჰარლანი"-26 ნოემბერს, „ჰარლონგტონი-იმავე დღეს, „წმ. ურსულა", და „რომა"-17 ნოემბერს.

— გერმანეთის წყალქვეშებსვე დაუღუპავთ საფრანგეთის გემები: „მაჯელანი" და „სინაი".

— პეტროგრადში ცნობა მიუღიათ, რომ ათინიდან მოკავშირეთა წარმომადგენლები სულ გამოსულან.

-- ინგლისის მმართველ წრეებში აღშფოთებულნი არიან იმით, რომ ინგლისის ელჩი მეფე კონსტანტინესთან სადილათ ყოფილა.

— **სხვა და სხვა ამბები.** ფრანგული „ჟურნალ"-ის ცნობით ინგლის —საფრანგეთის ბრძოლის პირზე პორტუგალიის მშვენივრად შეიარაღებული ორი დივიზია მოსულა და უკვე მოწინავე პოზიციებზე გასულა.

— იმპერატორ ვილჰელმს მთელ დასავლეთი ასპარეზი მოუვლია და პირადათ უნახულია მოწინავე პოზიციები. რამდენიმე ალაგას ყუმბარები საწყობები და ჯარი.

**მიმომხილველთა აზრი.** ინგლისის სამხედრო ავტორიტეტები აღნიშნავენ: თავდაპირველად რუმინელები იმაში დარწმუნდნენ, რომ პირადი მამაცობა ვერაფერს გააწყობს ტყვიის მფრქვეველების წინააღმდეგო.

— **საბერძნეთი.** მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს კიდევ გადაუციათ ახალი ნოტა საბერძნეთის მთავრობისათვის და მოუთხოვიათ, რომ საბერძნეთის მთელი ჯარი ორად გაჰყონ, ერთი ნაწილი თესალიაში გადაიყვანონ, ხოლო მეორე პელოპონესში და ათინის მიდამოებში აღარ იყოლიონ ჯარი.

— საბერძნეთისადმი ამას წინად წარდგენილი ულტიმატუმი მეფე კონსტანტინეს სავსებით მიუღია.

— 18—19 ნოემბერს მომხდარ თავდასხმის გამო პირეიში მოკავშირეთა დესანტზე, მეფე კონსტანტინეს მოკავშირეებისათვის წუხილი გამოუთქვამს, ხოლო ამავე დროს ბერძენთა თავდამსხმელ რაზმისათვის მადლობა გადაუხდია.

— **ზავის გარშემო.** შვეიცარიის გაზეთების სიტყვით, მოსალოდნელია, რომ რომის პაპმა შუამავლობა გასწიოს მეომარ სახელმწიფოთა შორის და ზავის ჩამოგდება ოფიციალურად ურჩიოს მოკავშირეებს.

## რამ გაგვამხეცა.?!

რამ გაგვამხეცა?! რამ დააბნელა ისე ჩვენი გონება და გააქვავა ისე ჩვენი გული, რომ ერთმანეთს სასიკვდილოდაც აღარა ვზოგავთ?! რისთვის მოჰკლეს მელიტონ ცაგარეიშვილი, პატიოსანი მუშაკი, თავისი წვრილი ცოლშვილის საკუთარი შრომით მკვებელი და უწყინარი, კეთილი ადამიანი?! მხოლოდ მიტომ, რომ თავის მამაპაპისეულ მამულში პატარა თავშესაფარი გაიკეთა, რომ ხანგრძლივი შრომით დაღლილსა და დაქანცულს სიბერის დროს მაინც მოესვენებია?!

„მეც წავხდი, შენც წაგახდინეო", თითქო საზოგადო მცნებად შეიქნა.

მილიონერებს რომ ვერ მისწვდენ, წვრილი ხალხი დაიბრიყვეს და გადათელეს, როგორც დაბალი ღობე.

კაცის მოტაცება ან მოკვლა კარგ საქმედ მიაჩნიათ. მოიტაცეს ანანოვი, მოიტაცეს და მოჰკლეს ჯანელიძის ჩვილი, პაწაწა ბავში, მოიტაცეს ექიმი გოკიელოვი, დახოცეს ებრაელები, თავს ესხმიან და ემუქრებიან ყველას, ვისაც თავისი შემოსავალი თავის უპირველეს მოთხოვნილებათა კმაყოფილადაც კი არა ჰყოფნის, არ ინდობენ არც გლეხს არც მუშას, არც დიდსა და არც პატარას!

სამტრედიაში თურმე ერთს ექიმს გადაკიდებიან და ემუქრებიან, გინდათუარა, ასი თუმანი მოგვეცი, თვარა ვაი შენი ბრალიო. ექიმი, რომელსაც, როგორც ვიცით, დაზოგვილი თანხა არ აქვს, იძულებულია გადიხვეწოს და ხალხს თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობა მოაკლოს.

სად, რომელ ქვეყანაშია შესაძლებელი ექიმის ცარცვა და კლვა?! ექიმი ხომ ხალხის ჭირისუფალია, მის სხეულებრივ და სულიერ წყლულთა და ტკივილთა დამამშვიდებელი და იმავე დროს ტანმთელობისათვის საჭირო ზნეთა და წესთა მქადაგებელი და, მაშასადამე, ახალი კულტურისა და განათლების შემქმნელი!

დიაღ! ექიმი დიდ კულტურულსა და ზნეობრივ ძალს წარმოადგენს. იმავე დროს, როგორც ვიცით, ექიმები ყველა სხვა ხელობის კაცებზე უფრო ადრე იღლებიან და იხოცებიან, რადგან ავადმყოფთა მუდმივი ჭირისუფლობა ადვილი არ არის: საშინლად ლახავს ნერვებს. და, მწამს, რომ, როდესაც საზოგადოება უკეთ მოწესრიგდება, ექიმის ღვაწლს უკეთ დააფასებს, რომ ყოველდღიური ლუკმის ძებნისათვის ზრუნვამ პირდაპირი მოვალეობის ასრულების ხელი არ შეუშალოს.

ხალხო! ექიმს თუ ორი გროში შეუძენია, ნუ გშურს, რადგან ის—თავისი ხელობის სხვერპლია, საზოგადოების აუცილებელ მოთხოვნილებათა ზვარაკია.

და, საზოგადოდ, გამრჯელსა და თადარიგიან კაცს პატიოსანი შრომით კეთილშეძენილი ქონება არ უნდა წაამწარო, რადგან, კაცს თუ შრომა არ დაუფასდა, საზოგადო კეთილდღეობას საფუძველი გამოეცლება და ქვეყანა წახდება!

დიაღ! აღარც ადამიანის ღირსებას აქვს ფასი და აღარც პატიოსანი შრომით შეძენილ საკუთრებასა და საზოგადო ზნეობა დაღმართ დაქანებულა!

სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზები? ოჯახსა და სკოლაში. მშობლები შვილებსა და მასწავლებლები მოწაფეებს ზნეობის შესახებ არაფერს ეუბნებიან. და ბავშს შინ სხვისდამი შურსა და მტრობას უნერგავენ გულში, სკოლაში კი ცხოვრებისათვის სრულიად გამოუსადეგარი საგნების შესახებ ესაუბრებიან.

დიაღ, ახალთაობას ზნეობრივი აღზრდა აკლია!

იცოდეთ და ყურადიღეთ ეს, მშობლებო და მასწავლებლებო!

ვასილ წერეთელი.

## ახალი ამბავი.

სახალხო წარმოდგენა. დღეს ქალაქის თეატრში ქართული დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული, პ. ირეთელის მიერ 4 მოქ. დრამა „ქრისტინე".

✦ ქუთაისის ქალთა გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის საბჭომ 7 დეკემბრის კრებაზე დაადგინა, რომ მის მიერ განზრახული სალიტერატურო საღამო, რომელიც უნდა გამართულიყო დღეს, 10 დეკემბერს—დეკანოზ მელიტონ ცაგარეიშვილის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო, გადაიდოს 20 დეკემბრისთვის.

✦ მეპურეთ მოვაჭრეებმა: ნიკო ბარქაიამ, მიხეილ სვანიშვილმა და იაკობ კაკიტელაშვილმა თხოვნა შეიტანეს ქალაქის თვითმმართველობაში, რომლითაც თხოულობენ პურზე ფასის მომატებას.

✦ ქალაქ ნოვოროსიისკში ქალაქის თვითმართველობის დავალებით რაფიელ კაკიტელაშვილმა შეიძინა 34 ვაგონი პურის ფქვილი ქუთაისის გუბერნიის საჭიროებისათვის. კაკიტელაშვილი უკვე გაემგზავრა ნოვოროსიისკში ფქვილის დასატვირთავად.

✦ ქუთაისის სახაზინო პალატა აცნობებს საგუბერნიო საერობო აგრონომს ა. მ. ვასილევსკის, რომ თანახმად ქუთაისის გუბერნიის სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა უფროსის მოწერილობისა მის განკარგულებაში გაიხსნა კრედიტი 1470 მან. და 15 კაპ. დაბა ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებში მოსამსახურე საერობო აგრონომებისა და მათ თანაშემწეთსთვის დღიურის დასარიგებლად.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა მეფის ნაცვლის კანცელარიიდან ცნობა მიიღო, რომ ქალაქ თბილისში 14 დეკემბერს დანიშნულია საერობო აგრონომების თათბირი სამეურნეო საკითხების გამოსარკვევად. ამ თათბირზე ქუთაისის გუბერნიიდან მონაწილეობას მიიღებს გუბერნიის აგრონომი ა. მ. ვასილევსკი. თათბირი გასტანს 12 დღეს.

✦ გუშინ ქალაქის სასანიტარო კომისიამ დაათვალიერა მწვანე ბაზარი და მრავალ სავაჭროში საეჭვო ღირსების სანოვაგე აღმოაჩინა. სასანიტარო ექიმის სიტყვით, უკანასკნელ ხანებში აქ მეტად გავრცელებულა სანოვაგის სიყალბე.

✦ პარასკევს 9 დეკემბერს ქუთაისში ახლო მახლო სოფლებიდან აყვარებელი სახლში ნაქსოვი ფუთქი და აბრეშუმი შემოიტანეს გასასყიდლად, შედარებით წინანდელ დღეებთან ძაფი უფრო მეტად იყიდებოდა, ე. ი. კვერცხი ($^1/_8$ გირ) პირველი ხარისხის 1 ს. 40 კ.-დან 1 მ. 50 კ დე.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო დაარსონ უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველო სოფელ ჩილოვანში (შორაპნის მაზრა) არჩილ ჯორჯაძის სახელობაზე.

✦ ადგ. მცხოვრებმა ვასილ გვინეფაშვილმა ოზურგეთის სატუსაღოს, ტუსაღთა საჭმლის გასაუმჯობესებლად შესწირა 20 მანეთი.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" მორიგი ნომრები

✦ ტუსაღების გაქცევა 6 დეკემბერს კახეთის რკ. გზაზე სადგურ საგარეჯოსა და იორს შუა თელავიდან მომავალ მატარებელს ტუსაღთა ვაგონიდან გაქცეულა სამი ტუსაღი. რომელთაც კატორღაში გაგზავნა ჰქონია მისჯილი.

✦ ამ უკანასკნელ ხანებში ქ. თბილისში ჩამოიყვანეს და № 38 ლაზარეთში მოათავსეს ომში დაჭრილი ქართველი პრაპორშჩიკი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ჯომარჯიძე.

✦ ი. კვერნაძეს და რ. კუშჩავს ნება დართეს რათა შავი ქვის წარმოება დაიწყონ შორაპნის მაზრის სოფელ ზედა რგანში.

**გუბერ კანცელარიის ცნობები.**

— ქალაქ ფოთში 28 ნოემბერს, ბოროტ-გამზრახველებმა ივანოვის ქუჩაზე, იაკობ ხუბულაშვილის სახლს ცეცხლი წაუკიდეს, ცეცხლი მოედვა იქვე მეორე მეზობლის, გიგო საჭინავას სახლსაც და დაიწვა ორივე, ზარალი 8000 მანეთამდეა. ხუბულაშვილს სახლი დაგირავებული ჰქონია ქ. ქუთაისის მცხოვრებ ელო ენუქაშვილთან.

— სოფელ შუამთაში (ქუთაისის მაზრა) 3 დეკემბერს 7 შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველები სახლში შეუცვივდენ ირაკლი ივანეს ძე სულაბერიძეს, წაართვეს 310 მანეთი ფულით და სხვა და სხვა ნივთები 360 მანეთის, აქიდან გაემართენ სოფელ მუხაყრუაში სადაც აგრეთვე მედუქნე ზაქარია სულაქველიძეს წაართვეს 700 მანეთი და სხვა და სხვა ნივთები. ბოროტ-გამზრახველები მიიმალენ.

— ქალაქ ფოთში 6 ნოემბერს ბერძნების ქუჩაზე თავის სახლში, ავაზაკებს: გრიშა ჯაკობიას და ნიკიფორე გვაზავას დაუხრჩვიათ მაქსიმე მელია. ხსენებული ავაზაკები პოლიციას დაუპატიმრებია და გადაუცია სასამართლოსათვის.

— სოფელ გეზში (რაჭის მაზრა) 16 ნოემბერს უეცრად გარდაცვლილა ჯარის კაცი ლარიენტი გვაშელიშვილი, ის დროებით დასასვენებლად ყოფილა სახლში დაბრუნებული და განუზრახავს ხელოვნურად დაავადმყოფების საშვალებით თავის სრულიად განთავისუფლება, მას მოუნახავს ვიღაც ალექსი ლობჟანიძე, უკანასკნელს მისთვის კანში შეუშხაპუნებია რაღაც წამალი, რასაც მოუწამლავს ხსენებული პირი. გვაშელიშვილს ლობჟანიძისათვის წამლის ფასათ მიუცია 20 მანეთი და უნდა მიეცა კიდევ 50 მანეთი იმ პირობით თუ სრულიად განთავისუფლებდა... და აკი განთავისუფლა!!!

— ქალაქ ბათუმში 6 დეკემბერს, რკინის გზის მეისრეებმა ივანე ვარნასმა და იულონ გადილიამ მესამე კლასის „ბუფეტიდან" მოუნდომეს გაძევება სოფელ ოკრიბის მცხოვრებს (ლეჩხუმის მაზრა) ვიღაც მამარდაშვილს, უკანასკნელმა მეისრე ვარნასი ბებუთის დანით კისერში მძიმეთ დასჭრა, რომელიც იქვე გარდაიცვალა, ხოლო გადილია მარცხენა ხელში მათ დასახმარებლად მირბინა დარაჯმა შკარაბეინიკომ, მამარდიშვილმა უკანასკნელიც დასჭრა მარცხენა ბეჭში. მამარდიშვილი დააპატიმრეს, ხოლო დაჭრილი გადილია და შკარაბეინიკო მოათავსეს საავადმყოფოში.

## სტატისტიკური ცნობები ტრაპეზონზე

წარსულ ნოემბერში [illegible] სტატისტიკური ცნობები ტრაპეზონის შესახებ. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ მთელ ტრაპეზონის მაზრის უჭირავს 1500 ათას. ვერსი. ტრაპეზონში ჩადის მდინარე დეგერმან-დერე, რომელიც ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს: ტრაპეზონისა და პლატონის ნაწილად.

მთელს ტრაპესონის მაზრაში დღეს ირიცხება სულ 62,699 კაცი. აქედან მუსულმანებია 42,233, ბერძნები 20,301 და სომხები 165 სული.

აღმოსავლეთის, ანუ ტრაპეზონის ნაწილში ცხოვრობენ: 24,502 სული მუსულმანი, 12,378 სული ბერძენი და 129 სული სომეხი. დასავლეთ, პლატონას ნაწილში კი 17,731, სული მაჰმადიანი 7,923 სული ბერძენი და 36 სული სომეხი, ამათში პირველ ნაწილში არის 21 ქალი და 5 ბავშვი, ხოლო მეორე ნაწილში არის 4 ქალი და ერთი ბავშვი.

აქედამ სჩანს, რომ ტრაპეზონის მაზრაში სომხები თითქმის სულ გადაშენებულან.

„ტრაპიზონი" ლათინური სიტყვა „ტრაპეზუს" და ნიშნავს ტრაპეზს მაღლობ ალაგს". რომელთა მეფობის დროს ტრაპეზონი დიდი სავაჭრო ქალაქი იყო პონტის მხარისა. პონტოელები ლაზები იყვნენ და მთელი პონტი ქართველი მოდგმიდან იყო დასახლებული. ჯერ ხეთელები, შემდეგ კაბადოკიელები, პონტოელები, ლაზები, მესხები, კოლხები, ქართველები სულ ერთ და იგივე ჩამომავლობას წარმოადგენს. თამარ მეფის დროს, ხომ იგი საქართველოს სამეფოს შეადგენდა და იქ საქართველოს მეფის ნაცვლის რეზიდენცია იყო. შემდეგ მცირე ხნით ტრაპეზონი კომნენთა იმპერიას წარმოადგენდა. იოვანე კომნენი, რომელმაც ცოლად ითხოვა ბიზანტიის მეფის მიხეილ პალეოლოგის ქალი ავიდა ტრაპეზონის ტახტზე შემდეგის ტიტულით: „იმპერატორი აღმოსავლეთ იბერიისა და ზღვათა მხარისა".

1461 წელს ოსმალეთმა დაიპყრა ეზრუმის მხარე და ზღვით წამოვიდა ტრაპეზონზე და ტრაპეზონის მაშინდელი მთავარი დავითი დაემორჩილა მაგომეტ მეორეს. სულთანმა წინადადება მისცა დავითს ისლამი მიეღო, მაგრამ მან უარჰყო ამგვარი წინადადება და ერთს დღეს იგი თავის შვიდი შვილით დამხრჩვალი ნახეს თავის ბინაზე. (1470 წ.) ასე დაიწყო ოსმალთა მეფობა ტრაპეზონში ამ 445 წლის წინად.

პ. ივლიტელი.

## კავკასიის ქრონიკა.

**თფილისი.** ქ. შ. წ. კ. გ. საზ. გამგეობის კრებამ 6 დეკემბერს შემდეგი დაადგინა:

1) დაამტკიცეს დადგენილება საგამომცემლო სექციისა. 2) ჩაიბარონ აკაკისაგან ნაანდერძევი მამული სხვიტორში და ამ საკითხის შესახებ წლიურ კრებას დასაბუთებული მოხსენება წარუდგინოს 3) დაეხმარონ საქართველოს საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოებას ფოტოგრაფ ერმაკოვისაგან ნეგატივების კოლექციის შეძენაში ქართულ მუზეუმისთვის. 4) შემოღებულ იქმნას პირველი იანვრიდან წიგნის მაღაზიაში ახალი წესით ვაჭრობა, სახელდობრ ჩეკების საშუალებით. 5) დაამტკიცეს საზოგადოების ნოემბრის შემოსავალი და ხარჯი.

— **ზაქათალი.** ამ მოკლე ხანში აქ დაარსდება ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება. შესაფერ თადარიგს უკვე შესდგომია საზოგადოების რწმუნებული მომრიგებელი შუამავალი ილია ჰყონია, რომელიც აგრეთვე აწყობს ფულის შეგროვებას ჯარების სასარგებლოდ.

— **გორი.** ექვს დეკემბერს შესდგა კრება გორის სამეურნეო საზოგადოებასთან საკომერციო განყოფილების დაარსების შესახებ. კრებას თავმჯდომარეობდა ი. ზ. ქურდიანი. კრებამ მცირეოდენი ცვლილება შეიტანა ვოლოგდის ამგვარ განყოფილების წესდებაში და სასურველად

---

ხოლო ოდეს შუქ-მფრქვეველობ
ლამაზ სიტყვის არა მთქმელი
შავს ნაწნავებს ნათელ სხივით
აელვარებს საფეთქელი.

4 იმნაირად ლამაზია,
მახლობელო, ყელი შენი,
ვით გოდოლი დავითისა,
საბარჯიშოდ აგებული,
ზედ ათასი ფარ-ისარი,
რომ სჩანს მწყობრად დაკიდული,
ფარ-ისარი ძლიერ ძეთა,
რომელთ მტკიცედ უცემთ გული,

5 რა ყვავილი შეედრება
ბროლ-სითეთრით შენსა კანსა,
შენი წყვილი სასძეური,
ჰგავს ქურციკის ორს თიკანსა,
ანუ ორს ნუკრს ირმისასა
შროშანთ შორის ნაზად მძოველს,
ვინც ჩაგიხილოს შეგიყვაროს
უარჰყოფდეს შენთვის ყოველს.

6 ვიდრე დაჰბერს დღეს სიგრილე
ვიდრე გაშლის ღამე ფრთებსა
თვით ვესტუმრო გუნდრუკთ-ბორცვებს
თვით მივიდე სურნელთ მთებსა.

7 მშვენიერ ხარ, მახლობელო,
უბიწო და უცოდველო,
და შენ შეგთხოვს სურნელებას
ყვავილებით სავსე ველი.

8 იჩქარევი ლიბანიდან,
სასძლო ჩემო, გიცდი, გელი,
განეშორე არვეთას თხემს
მიატოვე მისი ველი,
სანირას და ერმითის ველს
გამოსცილდი ჩქარა, მალე,
განვლე არე მამაც ლომთა
ვეფხვთ საყოფელს განეცალე.

9 მხოლოდ ერთის ყელ-სამკელით,
მხოლოდ ერთი გრძნეულ ცქერით
ტყვედ ჰქმენ გული, სასძლო ჩემო
და მოგელი გიჟურ ძგერით.

10 ო, გამშვენდი ო, იკურთხე
სასძლო ჩემო, მშვიდო, წყნარო.
შენს მწველ ალერსს, თვით ძვირფასი
ღვინო როგორ შევადარო,
გული ეტრფის, მახლობელო,
შენსა ცქერას თვალი ხარბობს,
სუნი შენი სამოსელის
ყოველნაირ სურნელს სჯობს,

11 დე, დაიწვას გული ჩემი,
შენი ტრფობით გავიმსჭვალო,
შენთა ბაგეთ თაფლი მოსწვეთს,
მახლობელო, სასძლო, სატრფიალო!
შენ მიმონებ, შენ იზიდავ
და ატყვევებ სურვილ-ჩებას,
სუნი შენი სამოსელის
ჰგავს ლიბანის სურნელებას.

გ. მეგრელიშვილი

(შემდეგი იქნება)

სცნო დაიბექდოს წესდება და წარედგი-ნოს იგი დასამტკიცებლად. საკომერციო განყოფილების მიზანია მოიწყოს საწყობები სამეურნეო მანქანების, იარაღების, თესლების და სხვა. ესევე დაწესებულება ეცდება ხელი შეუწყოს სოფლის ნაწარმოების გასაღებას.

— **სოხუმი**. აქ გაიხსნა წ. კ საზოგადოების თავშესაფარი, ომიანობისაგან დაზარალებულთა შვილებისათვის.

— **ფოთი**. აქ ფქვილი ბევრი მოვიდა. 90 ვაგონი ფქვილის წამოსაღებად თფილისის გამგეობიდან კაცი მოვიდა.

— **ბალაჯარა**. კავკასიის გზაზე დიდი საცოდაობა მოხდა მატარებელი მატარებელს დაეჯახა მოკლულია 20 კაცი, დაჭრილია 30-თი.

— **ზუგდიდი**. პური და შაქარი დიდი ხანია არ არის. სიმინდი ფუთი 3 მ. და 50 კ. იყიდება, ნავთი 4 მანეთად, ყველი გირვანქა ერთ მანეთად და 50 კაპ., კვერცხი—შაურად.

— **ზესტაფონი**. აქ არსდება სასოფლო სამეურნეო საზოგადოება რკინის გზის სასწავლებელში წელს გაიხსნა პირველი მოსამზადებელი კლასი. ამავე სასწავლებელში ქართული ენის გაკვეთილები შემოიღეს.

— ადგილობრივი საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება სასურსათო შემწეობას აძლევს გაჭირვებულთ, ჯერ-ჯერობით დაურიგდათ სიმინდი ხუთ საზოგადოებას. აქ დიდ ძალ ჯარისთვის სახლებს ქირაობენ.

— **ბაქო**. ნავთმწარმოებელთა კრების მეხუთე სხდომაზე გადაწყდა: თფილისის ქალთა მაღალ კურსების მედიკურ ფაკულტეტს მიეცეს ერთდროულათ შემწეობა **100,000** მანეთი და ყოველ წლიური **25,000** მანეთი.

## მხეცური საქციელი

(დეკანოზ—მასწავლებლის მოკვლა.)

ამ თვის ოთხ რიცხვს, სოფ. კუხის მახლობლად, ვიღაც ბოროტმა ადამიან წამებით მოჰკლა ქუთაისის მთავრობის ქალთა გიმნაზიის საღვთო სჯულისა და ქართული ენის მასწავლებელი დეკანოზი მელიტონ ცაგარეიშვილი.

განსვენებული წინადღით, შაბათს, ჩასულა თავის სოფელში,

სადაც ჰქონია პატარა მამული; დაუთვალიერებია ეზო, ღამე გაუთევია და მეორე დილით წამოსულა ფეხით ორიოდე ვერსის მანძილზე ხონის გზატკეცილამდე, სადაც ხონიდან ჩამოვლილ დილიჟანსით უნდა გამომგზარებულიყო ქუთაისისკენ. როდესაც გადმოუვლია მინდვრებზე, დაწევია ბოროტმოქმედი, დაუკრავს თაყში კეტი, თუ რკინის ჯოხი, წაუქცევია, შემდეგ დაუჩხვლეტია სახე ხუთ ექვს ადგილას შუბით და საზიზღარად მოუკლავს.

მეორე დღეს ცხედარი ჩამოასვენეს ქუთაისში; როგორც შეამოწმეს ექიმებმა, მკვლელს რკინის ჯოხით უწვალებია თავისი მსხვერპლი და ერთი თვალიც ამოუთხრიათ; გამოირკვა, რომ მკვლელობა შურის ძიებით ჩაუდენია მისავე მეზობელს და ერთმეგვარეს ლუკა ცაგარეიშვილს, რომელიც კიდევაც გამტყდარა თავის დანაშაულობაში. როგორც გადმოგვცეს იქაურებმა, განსვენებულსა და მის მეზობელს ლ. ცაგარეიშვილს დიდი ხანია რაც დავა ჰქონიათ ერთმანეთ შორის სარწყავი წყლის არხის შესახებ და მკვლელობაც ამ ნიადაგზე მომხდარა.

ლ. ბ—ლი.

## პროვინციის ცხოვრება.

**ხაშური**. შაბათს, 3 ქრისტეშობისთვეს, ხაშურის წ. კ. გ. ს-ბის განყოფილების მიერ გამართულ იქმნა საღამო, ჩვენ უკვდავ მგოსნის ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

პირველ განყოფილებაში ადგილობრივ ქალთა გიმნაზიის ქართულ ენის მასწავლებელმა კ. ნინიძემ წაიკითხა მოხსენება ნ. ბარათაშვილის შესახებ. მომხმარებელ საზოგადოებას მოკლედ გააცნო მგოსნის ბიოგრაფია, აღნიშნა იმ დროინდელი საქართველოს მდგომარეობა და ის წრე, რომელშიაც მგოსანს უხდებოდა მოღვაწეობა. მოხსენება მოკლე გამოდგა და მასთანავე ავტორის მიერ უსაიათოდ იქმნა წაკითხული, რამაც მსმენელების სულიერი მოთხოვნილება ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილა.

მეორე განყოფილებაში წაიკითხეს ნ. ბარათაშვილის ლექსები. გ. ნაკაშიძემ დინჯად და გრძნობით წაიკითხა ლექსი „სული ობოლი,“ აგრეთვე კარგათ წაიკითხა ქ-ნ ბახტაძისამ „სული ობოლი.“ ზაქარიშვილმა წაიკითხა ბარათაშვილის ცნობილი ლექსი „მერანი“.

გ. ნაკაშიძემ წაიკითხა საკუთარი ნაწარმ. „სურამის ციხე“. მესამე განყოფილებაში ამ საღამოსთვის „მოწვეულმა მომღერალმა ლექსავამ შეასრულა რამდენიმე რუსული სიმღერა.

საკვირველია ღმერთმანი: რაში დასჭირდათ ქართულ საღამოზე რუსული სიმღერები?!. მეოთხე განყოფილებაში წარმოადგინეს „თამარ ბატონიშვილიდან“ უკანასკნელი მოქმედება შეიძლება ითქვას, რომ საღამოს დანაკლისი ამ წარმოდგენამ შეავსო. ამსრულებლებმა ჩინებულად ჩაატარეს თავიანთი როლები, რამაც მხურვალე ტაშის ცემა გამოიწვია საზოგადოებაში.

— **სოფ ვანი** (გურია) თითქმის სამი წელიწადია, რაც აქ ქ. შ. წ. კ. საზოგადოების სახელობაზე სახალხო სამკითხველო არსებობს. პირველში ყველა ხალისიანად ეკიდებოდა საქმეს: შემოწირულობა გროვდებოდა და მით სამკითხველოს ჟურნალ გაზეთებს უწერდენ ხან ხარჯებიც ივარებოდა. ახლა კი მკითხველთა რიცხვი გაიზარდა, მოთხოვნილება გაორკეცდა, შემოწირულებამ კი იკლო, რაც ვერ არის კარგი საქმე.

## გ ა კ ვ რ ი თ.

მადლობა ღმერთს!.. ალჟირში ბეი იპოვნეს და საქართველოში კიდევ მგოსანი გრიშაშვილი ქართველი აღმოჩნდა! თუმცა მკითხველი კარგად ვერ გაიგებს ვის მიუნათლავს იგი ქართველად: **განსვენებულ ანჩისხატის** დეკანოზს, თუ ანჩისხატის **განსვენებულ დეკანოზს**, მაგრამ ეს სულ ერთია, ფაქტი ფაქტად რჩება და გრიშაშვილს, ამიერიდან ვეღარავინ ეტყვის **შენ სომეხი ხარო***)!.

ჩვენი მიზანი იყო დაგვენახვებინა სომხებისათვის, რომ თუმცა ბევრი ქართველი სომხის სარწმუნოებისანი არიან და ბევრსაც ისინი სომხებათ სთვლიან, მაგრამ სომხები კი არ არიან. ბ-ნი გრიშაშვილი კი გამომდგარა, რადგან იკლიკანტურებს მოწყალეის და მადლობის მაგიერ, რომ სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად დავასახელეთ,—ჩვენს გაზეთს უდიერად იხსენიებს. სწორედ ამაზეა ნათქვამი: „კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირაო“! .. ნუ თუ „საკარეო“ გაზეთებმა თქვენც გასწავლეს უზრდელობა ბ-ნო გრიშაშვილო?!.

რაც შეეხება საზოგადოდ ჩვენ შეკითხვას, უფრო ღრმად უნდა ჩაჰკვირვებოდით მას, ბ-ნო გრიშაშვილო, და მაშინ ცეკანივით არ დაიწყებდით ფეხების ბაკუნს და დაინახავდით, რომ ეს შეკითხვა არც ისეთი სახუმაროა, როგორც თქვენა და თქვენიანებს გგონიათ... გავა დრო და თქვენვე ინანებთ იმ უზრდელობისათვის, რომელსაც პირადად ჩვენ გვაყენებთ.

ღმერთმა ჰქნას მალე დამდგარიყოს ის დრო. რომ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები და „გარეშე“ გაზეთები ასე აბუჩად არ ექცეოდნენ ქართულ საქმეს და ქართულ გულისთქმას.

ი. ცანი.

## რ უ ს ე თ ი.

სახელმწ. სათათბიროს სამბოდ 17 დეკემბერს დაითხოვენ 1 იანვრამდე.

— სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო ამუხოვის ქარხნების მუშებს უნახავთ და დიდხანს უბაასნიათ მასთან სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

* გრიშაშვილი სწერს: მონათლულ ვარ **განსვენებული ანჩისხატის** დეკანოზ ზუმბულიძის მიერო („სახალხო“ **№ 741**) გამოდის, რომ განსვენებული ყოფილა ანჩისხატი და არა დეკანოზი ზუმბულიძე. **ი. ც.**

— პეტროგრადის უნივერსიტეტში წელს 23 ქალი შესულა; აქედან 8—ისტორიულ ფილოლოგიურზე, 12-საბუნების მეტყველობაზე, მატიმატიკურურზე 1, იურიდიულზე—2,

— მოკლე ხანში გამოქვეყნდება უმაღლესი სეხკრიპტნ მიტროპოლიტ პიტირიმის სახელზე. ამ რესკრიპტში ნაქები იქნება პირველი მიტროპოლიტის მოღვაწეობა.

— თან და თან ირკვევა, რომ პროტოპოპოვის მდგომარეობა მკვიდრდება და იგი მინისტრად კიდევ დიდ ხანს დარჩება.

— სახელმწიფო საბჭოს მილიუკოვისა და შტიურმერის საქმე განუხილავს. დადგენილებას ჯერჯერობით არ აქვეყნებენ.

— კადეტთა ფრაქციის სახელზე სათათბიროში უსახელო წერილი მოსულა. წერილის ავტორები, როგორც ეტყობა, მემარჯვენენი არიან; ისინი ემუქრებიან კადეტებს სიკვდილით, რადგანაც მათ „კრამოლა გაავრცელეს“ და „სამშობლოს მტრობენ“.

## უ ც ხ ო ე თ ი.

— შვეციას წინადადება მიუცია ნეიტრალ სახელმწიფოებისათვის მოეწვიათ ნეიტრალ სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელზედაც უნდა შეემუშავებიათ ზომები საზღვაო ვაჭრობის მოსაწესრიგებლად. ამის საპასუხოთ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას შეუთვლია შვეციისათვის, რომ უწესრიგობა ომიანობის გამო ვერ მოისპობა.

სარაევოში გაურჩევიათ 39 ბასნელ სერბთა საქმე; მათ ჰბრალდებოდათ სახელმწიფო მოღალატეობა 3 სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს და 19 გაამართლეს, დანარჩენთ კატორღა მიუსაჯეს.

— როგორც ინგლისში შესცვალეს სამინისტრო და დააწესეს „სამხედრო საბჭო“, ისევე აწყობენ მართვა გამგებლობის საფრანგეთში. იტალიაშიც ბევრს ლაპარაკობენ რეფორმებზე და ინგლისის მაგალითით ხელმძღვანელობენ.

— საფრანგეთის ჩრდილოეთის სამრეწველო პროვინციები მუშებს უნახულიათ მრეწველობის მინისტრი გერსო და განუცხადებიათ მისთვის, რომ ისინი დღეში თითო საათით მეტ მუშაობას აპირებენ. მინისტრს მადლობა განუცხადებია და ხელფასის მომატებას დაჰპირებიათ.

— ბოლო ხანებში დიდი მოლაპარაკება სწარმოებს ინგლისსა და ნორვეგიას შორის სავაჭრო ხელ შეკრულების დასადებათ. როგორც სჩანს ეს საქმე მოკავშირეთათვის სასურველად დაგვირგვინდება და სავაჭრო ხელშეკრულება ამ ორ სახელმწიფოთა შორის მალე დაიდება.

— ბერლინიდან მოსულ ცნობების მიხედვით გერმანიის მთავრობას ოფიციალურად უარუყვია ხმები კარლოს სტეფანეს პოლონეთის რეგენტად დანიშვნის შესახებ.

— სტოკჰოლმოდან იტყობინებიან, რომ ვარშავაში საალყო წესები შემოუღიათ. ეს ზომა იმით ყოფილა გამოწვეული, რომ პოლონელების ჯარში გაწვევის გამო უწესრიგობა ხდება ხოლმე პოლონელთა შორის.

## შემოწირულება.

ქუთაისის საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს შემოსწირეს შემდეგი ნივთები: გრიგოლ სიმონის ძე ქამარაულმა: ერთი სპარსული და ერთი რუსული ფული. საგზნაურო გიმნაზიის მეორე კლასის მოწაფემ ვარლამ ლოლაძემ: რუსუდანის დროის სპილენძის ფული. რიორგი შავდიამ: ოსმალური თეთრი ფული. ნადეჟდა თომას ასულმა აზაროვმა იშვიათი ოთხი ვერცხლის ფული, ორი ოქროსი და ერთიც ქაღალდის ოსმალური. მღვდელ ივანე მესხიძემ: რკინის ისრის წვერი, ნაჯახი და 5 სპილენძის ფული. ნადეჟდა გოგორიშვილის ქალმა საექიმო ქვების კოლექცია. სილოვან სუნდაძემ ერთი სპარსული თეთრი ფული. ბიქტორ გოლეთიანმა: სალესი, შუბი, საწამლე და სხვა იარაღები კუბოდან ამოღებული. ვარლამ გოლეთიანმა: სხვადასხვა გაქვავებული რამეები სოფელ ნაყურალში (ლეჩ. მაზ.) ნახული რუხვით ასამლი. ძველი ხუცური ხელთნაწერი, ფსალმუნთა კრებული და ძველი რკინის ნაჭრები. ვარლამ ლეშკაშელმა: თოფის წამლის საზომი დითონისა. მარიამ ირაკლი იაშვილის ასულმა: გაქვავებული რაღაცა. პეპი ლევან წერეთლის ასულმა: ყუმბარის ნატეხი—სვერის ციხეში ნახული. მღ. იონა ვასილის ძე ცხადაძემ ხევსურეთიდან მოიტანა: ცერზე წამოსაცმელი რკინის რგოლი—ჩხუბში სახმარი და თავზე ჩამოსაცმელი რკინის საფარი. მღვდელ მონაზონმა პავლემ (ჯაფარიძემ) ხელთნაწერი ჟამნ ლოცვანი მეფის ასულის ეფემია ხვარამზეს ბრძანებით აღწერილი ვახტანგ მეფის დროს. მიხეილ ალექსის ძე ჭიჭინაძემ. სურათი (იესო ქრისტეს გასამართლება) მხატვრობა ალექსი ბაქრაძისა, სანთლის ჩამოსასხმელი ყალიბი, ხელთნაწერი ჟამნი და ლოცვანი, მხედრული ნაწერი თარგმანი რეგლარენტისა, ხის კოლოფი, ხელთნაწერი მარიობის მეტარასი, ხელთნაწერი მღვთის მშობლის პარაკლისი, მხედრული ხელთნაწერი ქორწინების წესი, აბრეშუმის სატევლის თათები და ძველი აბჯანდი. ახალმოზ კარტოტაძემ: რკინის შუბი მიწაში ამოთხრილი.

საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობას მოახსენებს შემომწირველებს.

გამგეობა.

რედაქტორი **ი. ცინცაძე**.
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**“



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 | წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| | — დილის | — 5 ს 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 | „ |


გამოვიდა და იყიდება მშვენიერი

**ქართული კედლის კალენდარი**

კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული ქუთაისში

ფასი 4 აბაზი.

**მასაჟისა და სახის სამკურნ კაბინეტი**

**მარიამ ც. გალანჩივაძისა.**

მკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ხალვაილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვკერი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერს და სირბილეს. ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლი. № 17.

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს**

მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ. ტელეფონი № 183.

**იყიდება ხახლი და მამული**

2 სართულიანი ქვის შენობა ქვის სარდაფით. მიწაა 350 კვ. საჟ. ქუთაისში პუშკინის ქ., № 10. პირობების გასაგებათ მიმართეთ თბილისში მიხეილის ქ. № 113,

**ექიმ გოკიელოვს.**

**ქ თფილისში დაარსდა**

**მელნის ქარხანა**

**„ალაროდია“**

**ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,**

**ალიზარინის ფერისას**

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით. **ლაზარეთებსა და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.**

მელანი ასლის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.

**დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება** ადგილობრივ თუ გაგზავნით.

**მ ი ს ა მ ა რ თ ი:** თფილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.

**უკაცობა და ნევრასტენია.**

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

**გრანული ექ გლეზისა.**

**გრანული ექ. გლეზისა** მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ—სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და ანახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრნული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

**გრანული** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შამერზაშვილს** საათფიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.